www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი 20 ივლისი, 2009 წელი. №161 (2199)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

**ისრაელი აღმოსავლეთ იერუსალიმში მშენებლობებს არ შეაჩერებს**

A5



**კალაძე ახალ ამპლუას ეგუება**

A8



**ხურციძემ მსოფლიო ჩემპიონის ქამარი დაიცვა**

A8



# მისია რუსული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ

დიმიტრი ავალიანი

*აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი დღეს კიევს ეწვევა, საიდანაც 22 ივლისს საქართველოში ჩამოვა. ვიზიტის მიზანია საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის დემონსტრირება, - აცხადებენ ამერიკელი ოფიციალური პირები. ბაიდენი საქართველოში ოპოზიციის ლიდერებსაც შეხვდება და პარლამენტში სიტყვითაც გამოვა. ამერიკელი ექსპერტები მის ვიზიტს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიას უწოდებენ.*

ეს არის სიგნალი რუსეთისთვის, რომ აშშ მომავალშიც იმ პრინციპის ერთგული იქნება, რომლის თანახმადაც, სუვერენულ, დემოკრატიულ ქვეყნებს დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება და მოკავშირეებისა და პარტნიორების არჩევის უფლება აქვთ. ამის შესახებ ჯოზეფ ბაიდენის თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში ტონი ბლინკენმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

გაგრძელება A2 გვერდზე



AFP ' 2009

*ბარაკ ობამამ, მოსკოვში ვიზიტისას გაკეთებული განცხადებების რუსული ინტერპრეტაცია რომ გამორიცხოს, ამისთვის უკრაინასა და საქართველოში ჯოზეფ ბაიდენი მიავლინა საგანგებო მისიით.*

# მოჩვენებანი

ნოდარ ლადარია

ანდრე მორუა "უცნობი ქალისადმი წერილებში" თავის ადრესატს ურჩევს, როგორ მიხვდეს ფარული მეტოქის, პარტნიორის ცხოვრებაში შემოსული სხვა ქალის არსებობას. ამისათვის უნდა დაუკვირდე ოდნავ შესამჩნევ მინიშნებებს, რომელთა მსგავსს კითხულობს თავის ირგვლივ ტყეში მიმავალი მგზავრი: ბალახი ამაღლდა? ესე იგი წინ მდინარეა, ან ნაკადული, ან წყარო... ამას სხვა რამ ნიშანი დაგვიზუსტებს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მივადგებით დაბრკოლებას ან დასასვენებელ და გასაგრილებელ ადგილს.

ჩვენც გავიხსენოთ ასეთი უხილავი ნიშნები...

მას შემდეგ, რაც გავეცანი, როგორ მოქმედებს შესყიდვების კანონი, ნამდვილად არ მესმის, როგორ დარჩა შეუმჩნეველი ოქრუაშვილის მაქინაციები? ეკითხება ადმინისტრატორი ნაცნობ მინისტრის მოადგილეს.

სინამდვილეში ამის გაგება ძალიან ძნელია! რკინისებური ხმით მიუგებს მინისტრის მოადგილე და სასწრაფოდ განაგრძობს წამით შეწყვეტილ საუბარს სხვა თემაზე.

ყავის წონას შუშის ქილების წონასთან ერთად ანგარიშობენ, შესაფუთ მასალად მხოლოდ მუყაოს ყუთები ითვლება. ჰოდა, შუშას განაბაჟებ როგორც ყავას და გამოდის, რომ რეალურად ძალიან მაღალი გადასახადია, იურიდიულად კი ძალიან დაბალი, ჩივის იმპორტიორი.

რატომ ღებულობ უკრიტიკოდ ყველაფერს, იქნებ ეგ იმპორტიორი უბრალოდ დებილია? მამშვიდებს საქმეში ჩახედული მეგობარი, რომელმაც ზეპირად იცის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ბიუჯეტის პროცენტული ავან-ჩავანი და მარწმუნებს, რომ სწორედ ეს არის ყველაფრის გასაღები.

მაგრამ ეს წვრილმანებია. არის უფრო თვალშისაცემი სიმპტომებიც...

2007 წლის შემოდგომაზე ხელისუფლებამ მიიღო მესიჯი ხალხისაგან...

მერე და როგორ დაიწყო ამ მესიჯის "აღსრულება"? მაგრამ ჯერ უნდა ავხსნა, რატომ ჩავსვი ეს სიტყვა ბრჭყალებში: არ მიგულისხმია, რომ აღსრულება არ დაწყებულა; ის ვიგულისხმე, რომ ამგვარი აღსრულება სულ სხვა მესიჯს გულისხმობს...

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია თემებს უფრთხილდება

## დებატების მოლოდინში

*საქართველოს პარლამენტში დღეს დაგეგმილია დებატები, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტიც მიიღებს მონაწილეობას. დებატების ინიციატორ საპარლამენტო ოპოზიციას წინასწარ არ გაუხმოვანებია, თუ რა პრობლემების წამოჭრას აპირებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. როგორც 24 საათს ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა განუმარტეს, თემების წინასწარ დაანონსების შემთხვევაში ეს საკითხები აქტუალობას დაკარგავს.*

**დავაყენებთ მთელ რიგ საკითხებს. კონკრეტულად ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინაიდან ისინი სიმწვავეს დაკარგავს. ჯობს ხვალ, დებატების შემდეგ ვისაუბროთ ამ საკითხებზე, -** ასეთი კომენტარი მოგვცა ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ლალიაშვილმა.

თემების დაკონკრეტებისგან ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც შეიკავა თავი. ბაღათურიამ მხოლოდ ის გაგვიმხილა, რომ მის მიერ წამოჭრილი საკითხები მწვავე და ბევრი იქნება. ჯონდი ბაღათურიას განმარტებით, **ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. იმის ადგილი, რაც მე უნდა ვთქვა, პარლამენტშია.** რაც შეეხება დროს, ის დეპუტატმა ბაღათურიამ იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ დაასახელა, რომ ჯერ კიდევ გუშინ არავინ იცოდა, რომელ საათზე დაიწყებოდა დებატები პარალმენტში.

ფრაქცია ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე დებატებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის დაყენებას აპირებს, თუმცა კონრეტიკაზე ისიც უარს ამბობს. ამას თორთლაძე კოლეგებისგან მკვეთრად განსხვავებული მიზეზით ხსნის. მისი თქმით, წინასწარ გახმაურებულ საკითხს ხშირად სხვა პოლიტიკური ძალა ითვისებს. აქედან გამომდინარე, თორთლაძე სიფრთხილეს იჩენს.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## პრეზიდენტი ომალოს ეწვია

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თუშეთობის დღესასწაულზე ომალოს ეწვია. პრეზიდენტმა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი გახსნა.

მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა თუშეთში მიმავალი გზის შეკეთებისა და სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობაზე, რათა საქართველოს ეს მთიანი რეგიონი მოსახლეობისგან არ დაიცალოს. პრეზიდენტის თქმით, თუშეთში მოსახლეობისთვის ცხოვრების ნორმალური პირობები შეიქმნება, რის შემდეგაც რეგიონში ინვესტიციები ჩაიდება და ტურისტულ ცენტრად გადაიქცევა.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ომალოში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი.

*ინტერპრესნიუსი*

## ცხინვალი შოიგუს ″ეგებება″

დღეს ცხინვალს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი სერგეი შოიგუ ეწვევა. შოიგუს ვიზიტის მიზანია ოსი კოლეგებისთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, ასევე - ცხინვალის აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოების გაცნობა. რუსი მინისტრის დასახვედრად ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ დაიწყო მზადება.

*პირველი*

**ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიაზე**

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი გია ბარამია აფხაზეთში შექმნილი ვითარების გასარკვევად გუშინ ენგურის ხიდზე იმყოფებოდა. ის გალის რაიონიდან გადმოსულ მოსახლეობას შეხვდა და არსებულ პრობლემებზე ესაუბრა. ძირითადი აქცენტები უსაფრთხოებაზე გაკეთდა. ბარამია ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლებსაც გაესაუბრა და დახმარებას დაჰპირდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ ინტენსიურად შედიან რუსი ოკუპანტების დამატებითი ძალები. მათთან ერთად რეგიონში სომეხი და ყაბარდოელი ბოიევიკებიც იმყოფებიან. ყველა ადმინისტრაციულ შენობაში აფხაზური მილიცია უკვე ოკუპანტებმა ჩაანაცვლეს. ანალოგიური მდგომარეობაა ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზეც.

გუშინ ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსმა ოკუპანტებმა აფხაზ მესაზღვრეებს საზღვრების დატოვების შესახებ ულტიმატუმი წაუყენეს. რუსული მხარე საზღვარზე საკუთარი ჯარისკაცების განთავსებას იძულების წესით ცდილობს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სია**

| N | გვარი, სახელი | სამუშაო ადგილი, თანამდებობა |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | მხატვარი |
| 2 | [illegible] | ჟურნალი "[illegible]" გენერალური დირექტორი |
| 3 | [illegible] | ასოციაცია "[illegible]" თავმჯდომარე |
| 4 | [illegible] | ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე |
| 5 | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | ქ. თბილისის მერიის [illegible] სამსახურის [illegible] |
| 7 | [illegible] | ქ. თბილისის მერიის [illegible] სამსახურის [illegible] |
| 8 | [illegible] | საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო; საქართველოს პრეზიდენტის [illegible] (სამსახურის) უფროსის მრჩეველი |
| 9 | [illegible] | რეჟისორი |
| 10 | [illegible] | ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |

# მისია რუსული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

**რუსეთთან ჩვენი ურთიერთობების გადატვირთვა არ მოხდება რომელიმე სხვა ქვეყნის ხარჯზე,** - აღნიშნა ბლინკენმა.

მისი განცხადებით, აშშ კვლავაც მხარს უჭერს უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. **ნატო-ს კარი ყველა ქვეყნისთვის ღიაა. სურთ თუ არა გაწევრიანება, თავად ქვეყნების გადასაწყვეტია,** - აღნიშნა ბაიდენის თანაშემწემ. მისი განმარტებით, უკრაინასა და საქართველოში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტების საერთო მიზანს ამ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების მხარდაჭერა წარმოადგენს. იმავდროულად, ბაიდენის თანაშემწემ აღნიშნა, რომ **თითოეული ეს რევოლუცია ჯერჯერობით არ არის დასრულებული. ორივე ქვეყანა თავისებურ გამოწვევებს აწყდება იმ მოლოდინების შესრულებისას, რაც ამ რევოლუციებს მოჰყვა.**

ჯოზეფ ბაიდენი კიევს დღეს ეწვევა. იგი შეხვდება უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს, პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს, რეგიონების პარტიის ლიდერ ვიქტორ იანუკოვიჩს და რადას ყოფილ სპიკერს არსენ იაცენიუკს. ბაიდენი კიევში ოთხშაბათს აშშ-უკრაინის ურთიერთობის თემაზე სიტყვით გამოვა, შემდეგ კი უკრაინის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება.

თბილიში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ოთხშაბათსვე ჩამოვა. მისი თანაშემწის განცხადებით, ბაიდენს დაგეგმილი აქვს ოფიციალური ვახშამი საქართველოს პრეზიდენტთან, რის შემდეგაც სააკაშვილი და ბაიდენი კონცერტს დაესწრებიან.

ხუთშაბათს ჯოზეფ ბაიდენი მიხეილ სააკაშვილთან სამუშაო შეხვედრას გამართავს. შემდეგ აშშ-ს საელჩოს თანამშრომლებს შეხვდება. იმავე დღეს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე ოპოზიციის ლიდერებთან - ირაკლი ალასანიასა და ნინო ბურჯანაძესთან. ჯოზეფ ბაიდენი საქართველოს პარლამენტსაც ეწვევა და კანონმდებლების წინაშე სიტყვით გამოვა.

**ვიზიტის მიზანს არავინ მალავს - ეს უკრაინისა და საქართველოსადმი სოლიდარობის დემონსტრირებაა,** - განუცხადა რადიო თავისუფლების რუსულ სამსახურს ამერიკელმა ექსპერტმა, ჰადსონის ცენტრის წარმომადგენელმა დევიდ სატერმა. მისი აზრით, რუსეთში ბარაკ ობამას ვიზიტის შემდეგ აუცილებელი გახდა აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ უკრაინასა და საქართველოსთან ურთიერთობას აშშ არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მოსკოვთან ურთიერთობას.

დევიდ სატერის ფიქრობს, რომ შესაძლოა, კრემლში არასწორად გაეგოთ ბარაკ ობამას ზოგიერთი განცხადება, ამიტომაც **მთავარია** [აშშ-მ] **დაარწმუნოს უკრაინისა და საქართველოს მოსახლეობა, რომ დაეხმარება მათ ქვეყნებს, წინ აღუდგნენ რუსეთის ზეწოლას.**

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, ვიზიტი სიმბოლურ ხასიათს ატარებს, თუმცა შესაძლოა, ბაიდენმა საქართველოს დახმარებაც აღუთქვას, მათ შორის სამხედრო სფეროში.

**ვიცე-პრეზიდენტი ჩვენს სახელმწიფოში პრეზიდენტის შემდეგ მეორე კაცია და ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა კიევსა და თბილისში გამგზავრება სწორედ მას სთხოვა, იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ვიზიტს ბარაკ ობამა. ბაიდენი აქ პრეზიდენტის საგანგებო დესპანის როლს ასრულებს. მას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია აქვს დაკისრებული,** - განაცხადა ამერიკელმა ექსპერტმა.

დევიდ სატერმა ასევე განმარტა, რომ ამერიკელი პოლიტოლოგების აზრით, ჯოზეფ ბაიდენი თეთრ სახლში არა ცერემონიულ და სიმბოლურ ფუნქციას, არამედ სერიოზულ როლს ასრულებს. მას საგარეო პოლიტკის საკითხებში საკმაო გამოცდილება აქვს. რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის კონცეფციის გახმოვანება ობამას ადმინისტრაციამ თავის დროზე სწორედ ვიცე-პრეზიდენტს ანდო.

# ოპოზიცია თემებს უფრთხილდება

პირველი გვერდიდან

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ დიასამიძის შეფასებით, დებატები პარლამენტში მეტისმეტად დაგვიანებულია: **ეს ორთქლის გამოშვება იქნება.**

დიასამიძის განცხადებით, დებატები თავის დროზე რომ გამართულიყო, პოლიტიკური პროცესები ქუჩაში არ გადაინაცვლებდა. როგორც დიასამიძე შენიშნავს, ამ დებატებით ქრისტიან-დემოკრატები ქულების დაგროვებას აპირებენ, სხვა შედეგი კი დებატებს არ მოჰყვება.

თავად თამაზ დიასამიძისგან დღეს შეკითხვებს ვერ მოვისმენთ. უმრავლესობის წარმომადგენელი მსმენელის როლში ყოფნას ამჯობინებს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ გიგი წერეთლის განმარტებით, დებატებზე ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე, სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე გაკეთდება აქცენტი. არსებითი მსჯელობის საგანი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ასევე - საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. **ვიმსჯელებთ იმაზე, რა კეთდება და მომავალში რა გაკეთდება ამ მიმართულებით,** - დასძინა გიგი წერეთელმა.

*24 საათი*

# საპროტესტო გზები გაიყარა

*საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის გამოჩენისას ოპოზიციის აქტივისტები პარლამენტის შენობის შესასვლელთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. ახალგაზრდული მოძრაობის 150 წევრი ჯგუფებად განაწილდება და სამივე შესასვლელთან მჯდომარე აქციას გამართავს. პარალელურად კი, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი მოქალაქეებს თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდებს და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საქართველოში ვიზიტის გამო აქციას გამართავს.*

*ალიანსი საქართველოსთვის და ეროვნული ფორუმი 22 ივლისს დაგეგმილ საპროტესტო მიტინგში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.*

დათო გამისონია

ახალგაზრდული მოძრაობის შემოგვიერთდით წევრები პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას სამ მოთხოვნას წაუყენებენ. აქედან მთავარია პოლიტპატიმრების" გათავისუფლება და ძალოვანი სტრუქტურების იმ წარმომადგენელთა დასჯა, რომლებიც მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევასა და დაჭერებში არიან შემჩნეულნი.

ამავდროულად, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ჩამოსვლის დღეს აქციის გამართვისთვის ემზადებიან. 22 ივლისს დაგეგმილი მიტინგის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა აქციის გამართვის მიზნები ასე ახსნა: მოქალაქეების მასობრივი შეკრება ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს დაანახებს, რომ ქართული საზოგადოება მტკიცედ უჭერს მხარს დემოკრატიასა და დასავლურ ღირებულებებს და აქცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ანტიდასავლური. **ეს არის შანსი, შევაცვლევინოთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ეს ქვეყნები სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის აუცილებლობას ვერ ხედავენ. 22 ივლისს ქართველმა ხალხმა სამართლიანად უნდა გამოუთხაროს ძირი სააკაშვილის ხელისუფლებას.** აქციის ორგანიზატორთა თქმით, თავისუფლების მოედანზე წაიკითხავენ მიმართვას ჯო ბაიდენისადმი.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის დროს დაგეგმილ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ ეროვნული ფორუმი, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის და ალიანსში შემავალი პოლიტიკური პარტიები. ალიანსის ლიდერის აზრით, საქართველოს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაყენება ჯო ბაიდენთან დაგეგმილ პირისპირ შეხვედრაზე უნდა მოხდეს. ახალი მემარჯვენეების წევრმა მამუკა კაციტაძემ ალიანსი საქართველოსთვის გადაწყვეტილების მიზეზები განმარტა. მას მიაჩნია, რომ ბაიდენის ჩამოსვლის დღეს გამართულ მიტინგს სააკაშვილის ხელისუფლება ანტიამერიკულ თუ ანტიდასავლურ პროტესტად წარმოაჩენს. ამასთან, კაციტაძემ დასძინა, რომ შეუძლებელი იქნება 9 აპრილის ან 26 მაისის დემონსტრაციების მსგავსი მასშტაბის მასობრივი შეკრება. მან მომიტინგეთა რაოდენობის შემცირების მიზეზებიც ახსნა: **ზაფხული არ არის საუკეთესო სეზონი ასეთი აქციებისთვის. ასევე, შეიძლება, ხელისუფლებამ ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით, მიტინგზე პროვოკაციები მოაწყოს.**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

პირველი გვერდიდან

# მორჩენებანი

რას ემსახურება, მაგალითად, განათლების სისტემაში გატარებული ბოლოდროინდელი პოლიტიკა. არა, სკოლების თავისუფლებამ, რა თქმა უნდა, იზოლაციონიზმისა და არატოლერანტულობის დანერგვა გამოიწვია, და ამის გამო სამინისტროს უნდა ჰქონდეს გარკვეული მექანიზმი, რასაც ტექნიკურ ჟარგონზე სულელისაგან დაცვას უწოდებენ. მაგრამ სხვა ნაბიჯები ან მათი არარსებობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ, მაგალითად, სწავლების ხარისხსა და მასწავლებლის მომზადების დონეზე უფრო მნიშვნელოვანია, წავა თუ არა ესა თუ ის მასწავლებელი მიტინგზე.

სხვა "ტაქტიკურ უკანდახევებზე" საუბარი ადრეც მქონია, ამიტომ არ გავაგრძელებ. მით უმეტეს, რომ ახლა სხვა საკითხი მაღელვებს.

ამ საკითხზე კი ვერ გადავალ, სანამ კიდევ ერთ ძველ შენიშვნას არ გავიმეორებ. ოდესღაც ვწერდი, რომ საქართველოში ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის ფუნქციას შიდა პოლიტიკური სუბიექტები კი არ ასრულებს, არამედ აშშ მთავრობა, ევროსაბჭო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანზიაციები. ჩვეულებრივ, ასეთ ვითარებას ქართული პოლიტიკური სპექტრის იდიოტიზმს უკავშირებენ. მაგრამ იდიოტიზმია თუ არა ეს, ან, უფრო სწორად, განა მხოლოდ იდიოტიზმია?

ახლა კი შეიძლება გადავიდეთ ძირითად საკითხზე. მივუახლოვდეთ მას იმ მხრიდან, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო გათელილია, ყველაზე უფრო ცხადი და თვალსაჩინო: მთელი ამ ხნის განმავლობაში რატომ ითხოვდა ოპოზიცია მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომას? რატომ იყო არგუმენტაცია უცვლელი და ღარიბი?

ერთი შეხედვით, მართლაც ადვილია ყველაფერი ფარისებრ ჯირკვალში იოდის ნაკლებობას დავაბრალოთ. მაგრამ ყურადღებით დავაკვირდეთ ამგვარ ახსნას...

ყველა, ვინც კი ამ ვითარების ანალიზს ცდილობს მიხეილ სააკაშვილით დაწყებული და იულია ლატინინათი დამთავრებული ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ "პროტესტით დამუხტულებს" სურთ წარსულის დაბრუნება. ანუ, როგორც უკვე ნახსენები ლატინინა წერდა, ცხადად ხომ არ იტყვიან, ქრთამებს აღება გვინდაო, ამბობენ, სააკაშვილი ტირანიაო. ამგვარად, ქართული ოპოზიცია გამოდის ორეული იმ უკიდურესად ფუნდამენტალისტი იუდეველებისა, რომლებიც ისრაელის გაუქმებას ითხოვენ, რადგან წყაროებში ამოიკითხეს, რომ ებრაელებს არ შეიძლება ჰქონდეთ სახელმწიფო მესიის მოსვლამდე. პრობლემა ისაა, რომ ამგვარი მიზნებისკენ სწრაფვას ერთგვარი ინტელექტუალური კულტურა, განზოგადების თუ ინტერპრეტაციის უნარი სჭირდება და ბანალური სიბრიყვით მას ვერ ახსნი.

ასევე ცხადია, რომ კონკრეტულ ადამიანებს, შესაძლოა, სულაც არა აქვთ გაცნობიერებული ასეთი მდგომარეობა და ბევრად უფრო მარტივი იმპულსებით ხელმძღვანელობენ. რა არის ეს მარტივი იმპულსები? სწორედ აქ იჩენს თავს ერთი ძნელად შესამჩნევი გარემოება. აღმოჩნდება, რომ წარსულის დაბრუნებისკენ თუნდაც გაუცნობიერებლად სწრაფვა ბევრად უფრო მეტ ინტელექტუალურ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე... ვიდრე რა? მაგრამ ჯერ იმის შესახებ, საერთოდ რატომ მოითხოვს წარსულისკენ სწრაფვა დიდ ინტელექტუალურ დაძაბვას.

გუშინ უკეთესად ვიყავი, ესე იგი გუშინდელი დღე უნდა დავაბრუნო, ამ იდეაზე მარტივი რა უნდა იყოს? ესეც მართალია, თუმცა ოდნავ უფრო ღრმად შევტოპოთ. ყველამ ვიცით, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ნეგატიური კლიპები ცუდად მუშაობს. ამას ქართველი ჟურნალისტებიც კი მიხვდნენ და ამიტომაც იშვერდნენ თავის დროზე თითს გია გაჩეჩილაძის მიმართ: "ქვეყანაშია ფერები მუქი" ამ კლიპმა სწორედ ნეგატიურობის გამო ვერ მოუტანა წარმატება ეროვნულ დემოკრატებს. ძნელია მოინდომო უკვე შექმნილი სისტემის შეცვლა ისე, რომ სადმე მიყრუებულ სოფელში გზის დასაგებად წასული თანხა შენს ჯიბეში მოხვდეს, კიდევ უფრო ძნელია ამ შეცვლის ხერხს მიაგნო. გაცილებით უფრო ადვილია მოისურვო იმის ადგილზე მოსკუპება, ვინც მშვენივრად აიწყო ცხოვრება და თან გზის დასაგებადაც აგზავნის თანხებს.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია: ბოლოს და ბოლოს, ასეთი მაგალითი თვალწინ უნდა გქონდეს და ცხადად უნდა იყოს დადასტურებული. მაგრამ დავუბრუნდეთ ოპოზიციურ არგუმენტაციას... ერთ დროს დღევანდელი ხელისუფლებაც იყო ოპოზიცია. როდესაც შევარდნაძის დროს გივი თარგამაძე ამხელდა ინჯიასა და ჩაჩხიანს, როცა სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე სახლებისა და აგარაკების ფოტოები ააფრიალა, ეს იყო აპელირება ადამიანების გონებისა და ღირსებისადმი. სხვა სიტყვებით, იყო იდეალიზმი, რომელიც "ცხოვრება-მაცხოვრეთი" მოსულდგმულე საზოგადოებაში არ გამორიცხავდა სალი აზრისა და მტკიცე ღირებულებების არსებობას.

დღევანდელი ოპოზიციის

უკვე თითქმის არარსებულის "არგუმენტაცია" სულ სხვანაირი იყო: მანტრასავით მოკლე და განუწყვეტელი განმეორება ("მკვლელებო!", "სისხლისმსმელებო!", "მიშა, წადი!") ერთი მხრივ, ირაციონალურ შიშებს აღვიძებს, მეორე მხრივ კი ნიღბავს იმას, რაც მხილებას უნდა ექვემდებარებოდეს. სიმბოლურად ასეთი ტაქტიკის არსი და მიზანი ყველაზე მკაფიოდ სასამართლო დარბაზში სკამზე შეხტომით გამოიხატა: მე კი ვიცი, რომ სასამართლოს რეფორმა სულაც არ ამოიწურება ნაფიც მსაჯულად ბასა ფოცხიშვილის ან ლელა წურწუმიას წამოჭიმვით, მაგრამ ეს არ მადარდებს მთავარია, ვის ბელელში დაიდებს ბინას მოსავალი.

ამ ვითარებაში საზოგადოების საგრძნობი ნაწილის შინაგანი მდგომარეობა იმდენად დეგრადირდა, რომ უკვე სავსებით გამოიხატება ყოველგვარი აზრისაგან დაცლილი ფორმულით: "არც მიშა და არც გრეჩიხა".

მაინც რისი თქმა მინდა? ეს უფრო ნათელი გახდება, თუ შეკითხვას ასე დავსვამ: ხელისუფლების რაციონალური და ქმედითი კრიტიკის არარსებობას ოპოზიციის გონებრივი უუნარობა უდევს საფუძვლად, თუ სურვილი, რომ ზოგი რამ შენარჩუნდეს, არ მოისპოს, ვაჭრობის საგნად დარჩეს. კიდევ უფრო მარტივად: გიორგი თარგამაძეს ან ვინმე სხვას არა აქვს ასაფრიალებელი სურათები, თუ აქვს და არ აფრიალებს? შემდგომი გამარტივება თემის ვულგარიზაციას გამოიწვევს, ჩვენ კი უფრო ღრმა შრეებს ვიკვლევთ...

პარლამენტში კვალიფიციური დისკუსიის უქონლობა რომლის საბოლოო შედეგი ისაა, რომ მოსამართლეებს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას კანონის ერთადერთი მუხლი რჩებათ საყრდენად, ანუ ის, სადაც წერია, რომ ბუნდოვანების შემთხვევაში საკითხი წყდება საერთაშორისო ნორმების თანახმად; საზოგადოების უკიდურესი უმეცრება

რომელსაც იმდენად ბრიყვი, უგემოვნო და უვიცებით დასახლებული მედია კი არ აღრმავებს, რამდენადაც იმ აზრის გაბატონება, რომ მედია პრიორიტეტი არ არის; ახალ ინტელექტუალთა უკიდურესი ორიენტირება "საერთაშორისო სტანდარტებზე" რომლის შედეგად ქართული განათლება ემსგავსება ქართულ სპორტს: რამდენიმე ოლიმპიური ჩემპიონი და რამდენიმე ასეული დასახიჩრებული ახალგაზრდა... ეს ყველაფერი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის... არა, ავტორიტარიზმისთვის ალბათ არა ბოლოს და ბოლოს ოკეანის გაღმიდან ვიღაც მაინც ხომ ასრულებს პოლიტიკური ოპოზიციის ფუნქციას... მაგრამ როცა კრიტიკისა და მხილების ობიექტებად მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული (თუნდაც მძიმე) გადაცდომები იქცევა, ყურადღების მიღმა რჩება ის, რაც სახელმწიფო პოლიტიკის არსებით მანკიერებას შეიძლება წარმოადგენდეს.

ეს ფიქრები კი "24 საათში" გასულ კვირას დაბეჭდილმა ორმა მასალამ გამოიწვია. ერთი იყო მოკლე ცნობა, რომ ნინო ბურჯანაძის მიერ დაცვისა და ესკორტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მეორე იყო სტატია, რომელიც რობერტ სტურუას ირიბად ამუნათებდა: აბა, ვნახოთ, აიღებს თუ არა რუსულ პრემიასო.

გამახსენდა, რომ ნინო ბურჯანაძის სახელთან მეორე საქმეცაა დაკავშირებული ერთლარიანი აგარაკისა და გადაუხდელი გადასახადებისა. ჰოდა, მეც ხელისუფლების ირიბი კი არა, პირდაპირი დამუნათების სურვილი გამიჩნდა. არა მგონია, ეს მეორე საქმე პირველზე უფრო ძნელი და ბუნდოვანი იყოს მისი გადაწყვეტის შესახებ კი ჯერ არ გაგვიგია. მე არ ვიცი, დაცვის რა ტაქტიკა აირჩია ბურჯანაძის ადვოკატმა სიტყვაშეთანხმება "ქართველი ადვოკატი" ჯერ-ჯერობით მხოლოდ ღიმილის მომგვრელია მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ამ საქმის გადაწყვეტა სცილდება საქმის კონკრეტული შინაარსის ფარგლებს და ერთ-ერთი სამხილი იქნება ამ ტექსტში გამოთქმული ეჭვების შესამოწმებლად. მე არ ვიცი, რა მსხვერპლად დაუჯდება ქართულ სახელმწიფოს ამ საქმეში პრინციპულობის გამოჩენა, მაგრამ დარწმუნებული ვარ ეს მსხვერპლი არ იქნება ამაო.






## სამართალი

### ორი მკვლელობა ორ დღეში

*ბოლო ორი დღის განმავლობაში თბილისში ორი მძიმე დანაშაული გაიხსნა. საუბარია 7 წლის გიორგი იმერლიშვილისა და 17 წლის გიორგი კვირიკაშვილის მკვლელობაზე. გიორგი იმერლიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილები უკვე დაკავებულები არიან და მათი აღიარებითი ჩვენებებიც ხელთ აქვს გამოძიებას. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, რომელიც გუშინწინ გვიან ღამით მოხდა, როგორც პოლიცია განმარტავს, გიორგი კვირიკაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილების ვინაობაც უკვე დადგენილია და მათი ძებნა მიმდინარეობს.*

7 წლის გიორგი იმერლიშვილის ოჯახის წევრები კვლავ დამნაშავეების გადაცემას და მათი ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვენ. იმერლიშვილების ნათესავებმა, ახლობლებმა და მეზობლებმა დანაშაულში ეჭვმიტანილების სახლის დარბევა სცადეს, თუმცა სამართალდამცველებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.

ქვემო ფონიჭალაში მცხოვრები 7 წლის გიორგი იმერლიშვილი მეზობელმა გაიტაცა, სასტიკად აწამა და მოკლა. ბავშვის გატაცების ვერსიად გამოსასყიდი სახელდება, თუმცა გამოძიება სხვა ვერსიებზეც მუშაობს. გიორგი იმერლიშვილი საკუთარი სახლის ეზოდან ოთხი დღის წინ დაიკარგა. ბავშვის დაკარგვიდან ერთ საათში მამას ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ თუ სამართალდამცველებს მომხდარის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა, შვილს მოუკლავდნენ. მუქარის მიუხედავად, ბავშვის მშობლები სამართალდამცველებს დაუკავშირდნენ. როგორც გაირკვა, გამტაცებელთა ვინაობის დადგენა სწორედ მამის მობილურ ტელეფონზე შესული მესიჯით იმავე დღეს მოხერხდა. დაკავებულები არიან მოკლულის მეზობლები, მამა-შვილი ჯემალ და კახაბერ სამადაშვილები, რომლებმაც დანაშაული აღიარეს.

რაც შეეხება 17 წლის გიორგი კვირიკაშვილს, მისი ცხედარი გუშინწინ, გვიან ღამით, ნაძალადევის რაიონში, მეუნარგიას ქუჩაზე ნახეს. გარდაცვლილს ჭრილობა გულ-მკერდის არეში ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული. გიორგი კვირიკაშვილი თბილისის მე-2 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე იყო.

მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით დაუდგენელია და, შესაბამისად, არც სავარაუდო ვერსიები არებობს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, დანაშაულში ეჭვმიტანილების ვინაობა მათ უკვე დადგენილი აქვთ, თუმცა მათი სახელები და გვარები, გამოძიების ინეტერსებიდან გამომდინარე, არ სახელდება.

### დააკავეს ორგანიზებული ჯგუფის წვრები

თბილისის შს მთავარი სამმართველოს და ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს.

თბილისის შს მთავარი სამმართველოს ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულები - ოთარ გურჯიძე, მალხაზ ბარძიმაძე და მიხეილ კანთელაშვილი - კახეთის გზატკეცილზე ავტომატით და დანით შეიარაღებულნი სატვირთო ავტომანქანის მძღოლებს ვაჟა ბერიძეს და მერაბ ბარამიძეს თავს დაესხნენ.

ყაჩაღობის დროს ოთარ გურჯიძემ ავტომატური იარაღიდან გასროლით, მერაბ ბარამიძეს ფეხში მძიმე დაზიანება მიაყენა. მიხეილ კანთელაშვილმა კი ვაჟა ბერიძე დანით დაჭრა, რის შემდეგაც, ისინი დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ.

ოთარ გურჯიძის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული ავტომატი "აკს", სამი მჭიდით და 90 ვაზნით.

*პირველი*

### კობა ოთანაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ეწურება

მუხროვანის ამბოხის ორგანიზებაში ბრალდებულ კობა ოთანაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა დღეს ეწურება. როგორც კობა ოთანაძის ადვოკატი ონისე მებონია აცხადებს, წინასწარი გამოძიება დასრულებულია და საქმე განსახილველად სასამართლოშია გადაგზავნილი, თუმცა პროცესი ჯერ დანიშნული არ არის.

"კობა ოთანაძეს წინასწარი პატიმრობის ვადა დღეს ეწურება, თუმცა ის, რომ მის საქმეზე საქალაქო სასამართლოში პროცესი ჯერ დანიშნული არ არის, არ ნიშნავს, რომ ამით რაღაც დარღვევა ხდება. სასამართლოს აქვს უფლება, განაჩენი ადამიანის დაკავებიდან 9 თვის ვადაში გამოიტანოს, ასე რომ, მართლმსაჯულებას ოთანაძის შემთხვევაში კიდევ 7 თვე დარჩა", - აცხადებს ადვოკატი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "მეგობარი" ანაბარი

# გახსენი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

# ისრაელი აღმოსავლეთ იერუსალიმში მშენებლობებს არ შეაჩერებს

ისრაელი არ აპირებს, რომ ებრაელებს აღმოსავლეთ იერუსალიმში მშენებლობების წარმოება აუკრძალოს, - ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**ერთიანი იერუსალიმი ებრაელი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქია და ჩვენი სუვერენიტეტი ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს,** - განაცხადა მან, - **ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მცხოვრებს უფლება აქვს, საცხოვრებელი ქალაქის ნებისმიერ ნაწილში შეიძინოს."**

**ჩვენ აზრადაც კი ვერ დავუშვებთ, რომ ებრაელებმა ვერ შეძლონ უძრავი ქონების შეძენა ისრაელის რომელიმე ნაწილში, ისევე როგორც ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ ებრაელებს ცხოვრება აუკრძალოს ნიუიორკის, ლონდონის, პარიზის ან რომის რომელიმე ნაწილში,"** - დაამატა ნეთანიაჰუმ. ქვეყნის პრემიერმა ისიც აღნიშნა, რომ **უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთ იერუსალიმში არაბებმა იყიდეს ბინები ან არენდით აიღეს და ქვეყნის მთავრობას ამისთვის ხელი არ შეუშლია."**


AFP ' 2009

პრემიერის კომენტარები მოჰყვა იმ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ისრაელის ელჩი ამერიკაში მაიკლ ორენი სახელმწიფო დეპარტამენტში გამოიძახეს და ისრაელს იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში, შეიხ ჯარაჰის" რაიონში სასტუმროს აშენების შესახებ გაცემული ნებართვის გაუქმება შესთავაზეს.

ებრაული წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი ირვინგ მოსკოვიჩი სასტუმროს 1985 წელს შეძენილ 300 კვადრატული მეტრ მიწის ფართობზე აშენებს.

ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ამერიკა თავის მოთხოვნას ხსნის სურვილით, არ დაირღვეს დემოგრაფიული ბალანსი" აღმოსავლეთ იერუსალიმში, რომელიც მომავალში პალესტინური სახელმწიფოს დედაქალაქად უნდა გამოცხადდეს.

ისრაელის პარლამენტმა ქნესეთმა 1980 წელს იერუსალიმი ერთიანი ებრაული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა და მის ადმინისტრაციულ საზღვრებში ქალაქის შემოგარენი და არაბული კვარტლებიც შეიყვანა.

საერთაშორისო საზოგადოებამ ეს ცალმხრივი აქტი არ აღიარა, თუმცა ისრაელი დღემდე უარს ამბობს, რომ იერუსალიმის აღმოსავლეთ ტერიტორიები იორდანეს დასავლეთ სანაპიროდ გამოცხადდეს და იქ აშენებულ უბნებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ დასახლებებად არ მიიჩნევს.

იერუსალიმის მუნიციპალიტეტის მტკიცებით, ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მშენებლობაზე ყველა ნებართვა ერთიანი კრიტერიუმების საფუძველზე გაიცემა - მესაკუთრის რელიგიური, ეროვნული ან სხვა სახის კუთვნილების გათვალისწინების გარეშე."

# ამერიკელი ჯარისკაცის ტყვეობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი

მარიკა იაშვილი

რადიკალურმა მოძრაობამ თალიბებმა" გამოაქვეყნა 28-წუთიანი ვიდეოჩანაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ ავღანეთში აშშ-ს კონტინგენტის წევრი სამხედრო მოსამსახურე მათ ხელშია. ავღანეთში ამერიკის სამხედრო ძალების სარდლობის განცხადებით, ჯარისკაცი ქვეყნის აღმოსავლეთში, პაკტიას პროვინციაში, 30 ივნისს დაიკარგა. 2 ივლისს თალიბებმა განაცხადეს, რომ მათ ამერიკელი ჯარისკაცი ერთობლივი პატრულის წევრ სამ ავღანელ სამხედროსთან ერთად გაიტაცეს.

ინტერნეტში განთავსებულ ვიდეოჩანაწერზე თალიბები მათ მიერ დატყვევებულ ჯარისკაცს აჩვენებენ. მას თავი აქვს გადაპარსული და ნაცრისფერი ტანსაცმელი აცვია. ერთ კადრში მსხვილი ხედით მისი სამხედრო ჟეტონი ჩანს. ბოევიკებთან ინგლისურ ენაზე საუბრის დროს ჯარისკაცი აცხადებს, რომ ვიდოჩანაწერი 14 ივლისით თარიღდება.

პენტაგონის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ მოინდომეს, ჟურნალისტებს დაუდასტურეს, რომ ვიდეოჩანაწერზე სწორედ ის სამხედრო მოსამსახურეა ასახული, რომელსაც ბოლო დღეების განმავლობაში პაკტიას პროვინციაში ეძებდნენ.

ავღანეთში აშშ-ს სარდლობის წარმომადგენელი გრეგ ჯულიანი აცხადებს, რომ ყველა შესაძლო გზას იყენებენ ტყვის უსაფრთხოდ დასაბრუნებლად.

მისი თქმით, იმ რაიონში, საიდანაც ჯარისკაცი გაუჩინარდა, ამერიკულმა სამხედრო ძალებმა დაარიგეს ფურცლები, რომლებზეც წერია, რომ პირი, ვინც მათ ტყვის დაბრუნებაში დაეხმარება, ჯილდოს სახით 25 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

ვიდეოჩანაწერში კითხვაზე, თუ როგორ გრძნობს თავს, ჯარისკაცი პასუხობს: მეშინია, რომ სახლში ველარასდროს დავბრუნდები. ტყვეობაში ძალიან ძნელია გამბედაობის შენარჩუნება."

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ჩანაწერში კარგად ჩანს, რომ ტყვე ნერვიულობს. გამტაცებლის მითითებით, ჯარისკაცი ამერიკელებს მოუწოდებს, გავლენა მოახდინონ ამერიკის მთავრობაზე, რათა ავღანეთში დროის კარგვისა და სამხედროების გაწირვის ნაცვლად, ჯარები სახლში დააბრუნონ.

პენტაგონში გატაცებული ჯარისკაცის სახელს იმ დრომდე არ ახმაურებენ, სანამ ახლობლები და კონგრესმენები არ მიიღებენ შესაბამის ინფორმაციას.

აშშ-ს თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ვიდეომასალა მოძრაობა თალიბანის" პროპაგანდაა და საერთაშორისო სამართლის წესებს არღვევს. უწყებაში აღნიშნავენ, რომ ჯარისკაცის უვნებლად დასაბრუნებლად ყველაფერს აკეთებენ.


საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება




**პაციენტების საყურადღებოდ !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

ა ხ ა ლ ი ფ ა ს ე ბ ი !

Bazaleti HOTELS GROUP

ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!





ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, პ. ინგოროყვას ქ. N20-ში მდებარე შენობის აღდგენა-გამაგრებისა და ალ. გრიბოედოვის ქ. N29-ში მდებარე შენობის კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად: ლოტი N1: პ. ინგოროყვას ქ. N20-ში მდებარე შენობის აღდგენა-გამაგრება; ლოტი N2 ალ. გრიბოედოვის ქ. N29-ში მდებარე შენობის კონსტრუქციული გამაგრება. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 1 დეკემბერი (ჩათვლით).

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 6 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ქ. თბილისში, პ. ინგოროყვას ქ. N20 და ალ. გრიბოედოვის ქ. N29-ში მდებარე შენობების გამაგრების სამუშაოები. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 7 აგვისტოს 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

7. ტენდერის შედეგად, ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან ორი გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით, ან გახსნილი აქვს ამავე ოდენობის საკრედიტო ხაზი.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისკვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს განყოფილებების ოფისების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1. – 422.4 მ² ფართის ოზურგეთის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 2. – 357 მ² ფართის ბოლნისის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 3. – 204 მ² ფართის ტყიბულის რაიონული განყოფილების სარემონტო სამუშაოები;

ლოტი 4. – 239.7 კვ.მ. ქობულეთის რაიონული განყოფილების დარჩენილი სარემონტო სამუშაოები.

2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები - 2009 წლის აგვისტოდან 2009 წლის 15 დეკემბრამდე.

3. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 10 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები – ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, ანგარიშის №200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი №302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 11 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი), რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) პრეტენდენტის ბალანსზე რიცხული ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

დ) უკანასკნელ პერიოდში შესრულებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაო:

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>. | | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის ძირითადი კადრების კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში)

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

ზ) მომსახურე ბანკის მიერ გაცემული უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციის ანგარიშზე ბრუნვა.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 აგვისტოსა).

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

12. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

15. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: შოთა ჯორჯაძე მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. **www.ssa.gov.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (158 ლოტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 158 (ასორმოცდათვრამეტი) ლოტად:

| | |
|---|---|
| ლოტი 1 | უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთის რეკონსტრუქცია (სასაფლაოდან - უნივერსიტეტამდე) |
| ლოტი 2 | იოსებიძის ქუჩა |
| ლოტი 3 | გრიბოედოვის ქუჩა |
| ლოტი 4 | არსენას ქუჩა |
| ლოტი 5 | ახალი გზა (ჭონქაძე–კაკაბაძე) |
| ლოტი 6 | თაბუკაშვილის ქუჩა |
| ლოტი 7 | ბელინსკის ქუჩა |
| ლოტი 8 | გოგებაშვილის ქუჩა |
| ლოტი 9 | იალბუზის ქუჩა |
| ლოტი 10 | ქორეშის ქუჩა |
| ლოტი 11 | ენუქიძის ქუჩა |
| ლოტი 12 | სამგორის ქუჩა |
| ლოტი 13 | გალავნის ქუჩა |
| ლოტი 14 | გლდანი–მუხიანის შემაერთებელი გზა (პიზა) |
| ლოტი 15 | მანჯგალაძის ქუჩა |
| ლოტი 16 | გუდამაყრის ქუჩა |
| ლოტი 17 | ლიბაანის ქუჩის გაგრძელება (ჭარებალოს ქუჩა) |
| ლოტი 18 | აგლაძის ქუჩა |
| ლოტი 19 | ოქროყანა. თბილისის ქუჩის ზოლი მონაკვეთი |
| ლოტი 20 | კოჯორი. იუნკერების, გორკის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას ქუჩები |
| ლოტი 21 | შინდისი. თბილისი-კოჯრის გზატკეცილიდან საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზა |
| ლოტი 22 | ტაბახმელა. თბილისი-კოჯრის გზატკეცილიდან კორპუსებამდე |
| ლოტი 23 | ასათიანის ქუჩა |
| ლოტი 24 | მაია წულუკიძის ქუჩა |
| ლოტი 25 | საავაძის, ვაჟა-ფშაველას, ტაბიძის და გრიშაშვილის ქუჩების გადამკვეთი გზები |
| ლოტი 26 | წერეთლის, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა |
| ლოტი 27 | თამარ მეფის ქუჩის შესახვევი |
| ლოტი 28 | გრიშაშვილის ქუჩა და საავაძის ქუჩის კვეთა |
| ლოტი 29 | სტალინის ქუჩის პირველი შესახვევი |
| ლოტი 30 | გოგრიჩიანის ქუჩა |
| ლოტი 31 | გორგასალის ქუჩისა და გურამიშვილის ქუჩებს შორის არსებული ნაწილი |
| ლოტი 32 | ტაბახმელის ცენტრალური გზის მარჯვენა შემავალი ჩიხი |
| ლოტი 33 | ტაბახმელა კორპუსების ქვედა მხარეს მდებარე გზა |
| ლოტი 34 | ტაბახმელის შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 35 | კოჯრის ცენტრალური გზიდან სოფელ დიდებამდე მისავალი გზა |
| ლოტი 36 | სოფელ დიდების შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 37 | სოფელ წავკისის შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 38 | კოჯორი. უბის ქუჩა |
| ლოტი 39 | კოჯორი. იუნკერების პირველი ჩიხი |
| ლოტი 40 | კოჯორი. ტაბიძის ქუჩა |
| ლოტი 41 | კოჯორი. ხვედის ქუჩა |
| ლოტი 42 | კოჯორი. ერისთავის ქუჩა |
| ლოტი 43 | კოჯორი. სარაჯის ქუჩა |
| ლოტი 44 | კოჯორი. რუხაძის ქუჩა |
| ლოტი 45 | კოჯორი. [illegible] ქუჩა |
| ლოტი 46 | კოჯორი. თევზაძის ქუჩა |
| ლოტი 47 | ოქროყანა. ვაზისუბნის ქუჩა |
| ლოტი 48 | ალაზნის ქუჩა |
| ლოტი 49 | ანტონ კათალიკოსის ქუჩა |
| ლოტი 50 | ალეკის ქუჩა |
| ლოტი 51 | ბაქრაძე დიმიტრის ქუჩა, შესახვევი და ჩიხი |
| ლოტი 52 | ბოროდინის ქუჩა |
| ლოტი 53 | ბროსეს ქუჩა და ჩიხი |
| ლოტი 54 | ცხემის ქუჩა და ჩიხი |
| ლოტი 55 | დიღომის წყაროს ქუჩა და I და II შესახვევები |
| ლოტი 56 | დუმბაძის ქუჩა |
| ლოტი 57 | ფალავას ქუჩა |
| ლოტი 58 | ბარნოვის ქუჩა |
| ლოტი 59 | გუნიას ვ. ქუჩა |
| ლოტი 60 | გურჯაანის ქუჩა |
| ლოტი 61 | კოსტავას I და II შესახვევი და I გასასვლელი |
| ლოტი 62 | მარტყოფის ქუჩა |
| ლოტი 63 | მეტეხის შეს. |
| ლოტი 64 | [illegible] ქუჩა და შესახვევი |
| ლოტი 65 | თაბუკაშვილი რ. I ჩიხი, ჩიხი და შესახვევი |
| ლოტი 66 | თარხნიშვილი ივ. ქუჩა და ჩიხი |
| ლოტი 67 | აბო თბილელის ქუჩა |
| ლოტი 68 | ყაზბეგის ქუჩა |
| ლოტი 69 | ვაშლოვანის ქუჩა |
| ლოტი 70 | წმ. ნიკოლოზის ქუჩა |
| ლოტი 71 | გრიშაშვილის ქუჩა |
| ლოტი 72 | იაშვილის ქუჩა |
| ლოტი 73 | ქიქოძის ქუჩა |
| ლოტი 74 | 300 არაგველის ქუჩა |
| ლოტი 75 | დოდაშვილის ქუჩა |
| ლოტი 76 | კიკვიძის ქუჩა (ხარებაძის ზედა ნაწილი) |
| ლოტი 77 | საინგილოს ქუჩა |
| ლოტი 78 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 79 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 80 | 300 არაგველის ქუჩა |
| ლოტი 81 | ჯორჯაშვილის ქუჩა |
| ლოტი 82 | ამირანაშვილის ქუჩა |
| ლოტი 83 | რუსთაველის ქუჩა |
| ლოტი 84 | აეროდრომის VII ქუჩა |
| ლოტი 85 | საქნავთობის დასახლებიდან ლილოს დასახლებამდე |
| ლოტი 86 | წინამძღვრის ქუჩა |
| ლოტი 87 | სოფელ ფონიჭალის ცენტრალური გზა |
| ლოტი 88 | ალექსეევკის დასახლების ქუჩები |
| ლოტი 89 | გარე კახეთის ქუჩა |
| ლოტი 90 | პატარა ლილო |
| ლოტი 91 | სოფელი პატარა ლილოს მისასვლელი გზა |
| ლოტი 92 | ვორონინის ქუჩა |
| ლოტი 93 | გორის ქუჩა 21-დან 29-მდე |
| ლოტი 94 | სოხუმის ქუჩა |
| ლოტი 95 | კაპანაძის ქუჩა |
| ლოტი 96 | ა. ქურდიანის ქუჩა |
| ლოტი 97 | ზუგდიდის ქუჩა |
| ლოტი 98 | ე. და ვ. ფიფიების ქუჩა |
| ლოტი 99 | ს. მეტრეველის ქუჩა |
| ლოტი 100 | გვეტაძის ქუჩა |
| ლოტი 101 | ხოშარაულის ქუჩა №27-თან მისასვლელი გზა |
| ლოტი 102 | ხოშარაულის ქუჩა №27-თან მისასვლელი გზა |
| ლოტი 103 | დავითაშვილის ქუჩა |
| ლოტი 104 | ჭალადიდის ქუჩა |
| ლოტი 105 | აგარის ქუჩა |
| ლოტი 106 | კიკვიძის ქუჩა |
| ლოტი 107 | ბაქრაძის ქუჩა ზედა ნაწილი |
| ლოტი 108 | რეხის დასახლება |
| ლოტი 109 | სამურზაყანოს ქუჩა |
| ლოტი 110 | ანდრონიკაშვილის II შესახვევი |
| ლოტი 111 | ანდრონიკაშვილის III შესახვევი |
| ლოტი 112 | კასპის ქუჩა |
| ლოტი 113 | ვარდისუბნის ქუჩა |
| ლოტი 114 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 115 | რიონის ქუჩა |
| ლოტი 116 | ხანძთელის ქუჩა |
| ლოტი 117 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 118 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 119 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 120 | სტადიონის ქუჩა |
| ლოტი 121 | მესხის ქუჩა |
| ლოტი 122 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 123 | გაზაფხულის ქუჩა |
| ლოტი 124 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 125 | კახიანის ქუჩა |
| ლოტი 126 | ლოტკინის მთის ქუჩა [illegible] |
| ლოტი 127 | ჯანელიძის ქუჩა |
| ლოტი 128 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 129 | ალექსიძის ქუჩა |
| ლოტი 130 | ტყვარჩელის ქუჩა |
| ლოტი 131 | ხარაიშვილის ქუჩა |
| ლოტი 132 | ალმასიანის ქუჩა |
| ლოტი 133 | ვ. ნიკოლაძის ქუჩა |
| ლოტი 134 | გურიელის ქუჩა |
| ლოტი 135 | გამრეკელის ქუჩა |
| ლოტი 136 | შავიშვილის ქუჩა (ქვედა ნაწილი) |
| ლოტი 137 | დოლიძის ქუჩა |
| ლოტი 138 | ნუცუბიძის IV მ/რ ლისის ტბის გზის შემაერთ. გზა |
| ლოტი 139 | შიდა სოფლიდან დიღმის მეურნ. მის. გზა |
| ლოტი 140 | სოფ. დიღომში მისასვლელი გზა ([illegible]) |
| ლოტი 141 | თაყაიშვილის ქუჩა |
| ლოტი 142 | ბაზალეთის ქუჩა |
| ლოტი 143 | არაყიშვილი ქუჩა |
| ლოტი 144 | თაქთაქიშვილის ქუჩა |
| ლოტი 145 | [illegible] ქუჩა №98 |
| ლოტი 146 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 147 | ს. ნიკოლაძის ქუჩა |
| ლოტი 148 | ტაშკენტის ქუჩა |
| ლოტი 149 | ოსეთის ქუჩა |
| ლოტი 150 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 151 | გომიაშვილის ქუჩა 21 კორპუსის ტერიტორია |
| ლოტი 152 | ლორთქიფანიძის ქუჩა |
| ლოტი 153 | ბალანჩივაძის ქუჩა |
| ლოტი 154 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 155 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 156 | ოდესის ქუჩა |
| ლოტი 157 | [illegible] ქუჩა |
| ლოტი 158 | ვ. ნიკოლაძის ჩიხი |

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტენდერის დოკუმენტაციაში.*

2. მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 20 ივლისიდან ამავე წლის 10 აგვისტოს 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ. შარტავას ქუჩა №7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;
**გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (158 ლოტი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 აგვისტოს 11:00 საათიდან 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ. შარტავას ქუჩა №7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება მისთვის სასურველ ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოიდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვანიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ. შარტავას ქუჩა №7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# კალაძე ახალ ამპლუას ეგუება



ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტანი და მილანის მცველი კახა კალაძე მამა გახდა. იმ ემოციებზე, რომელიც მამობით არის გამოწვეული, კალაძე საკუთარი ვებგვერდის ჟურნალისტს ესაუბრა.

- ძალიან დიდი ემოციაა. ამ წუთში მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ვარ.

**- დაიბადა მილანში. ისურვებდი, რომ საქართველოში დაბადებულიყო, თუ გახარებს ის, რომ იტალიელია?**

- კმაყოფილი ვარ, რომ დაიბადა აქ, მილანში. უკვე ცხრა წელია, აქ ვცხოვრობ და ამ ქალაქს საკუთარ სახლად აღვიქვამ. ჩამოვიდნენ ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები. მე აქ ვმუშაობ და ვცხოვრობ. ასე რომ, ნორმალურია, რომ ჩემი შვილი აქ გაიზარდოს. რთული პერიოდის შემდეგ ლამაზი დრო დადგა. ჩემს კარიერაში ცუდი პერიოდები მაქვს გამოვლილი როგორც ოჯახის, ისე საფეხბურთო თვალსაზრისით (რამდენიმე ტრავმის გამო). ხუთი თვის განმავლობაში მძიმე რეჟიმში ვცხოვრობდი, რადგან მეტად დელიკატური ოპერაციის გაკეთება მომიხდა. სწორედ ამის გამო მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემთან ახლოს იყო: მილანის გულშემატკივრებს, კლუბს, რომელიც ძალიან დამეხმარა და ბევრი რამ მომცა, ჩემს თანაგუნდელებს, რადგან მათი მხარდაჭერა ჩემთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**- ახლა როგორ გრძნობთ თავს ფიზიკური თვალსაზრისით?**

- უკეთ ვარ, ვმუშაობ. ჯერჯერობით ყოველდღიურად გუნდთან ერთად ვერ ვვარჯიშობ. ვითამაშე ბოლო ოცი წუთი ვარეზეს წინააღმდეგ. ნელ-ნელა ბურთთან მუშაობასაც განვაახლებ და ცოტა ხანში ასი პროცენტით მომზადებული დავუბრუნდები მოედანს.

# ხურციძემ მსოფლიო ჩემპიონის ქამარი დაიცვა



შაბათს უკრაინის ქალაქ ოდესაში WBA-ს ვერსიით ინტერკონტინენტალის მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე (მეტსახელად ტორნადო ), რომელიც K2 East Promotions -ის კლუბის ღირსებას იცავს, ბელგიელ ჯამელია ბაკის შეერკინა. ხურციძე ტიტულის იცავდა (კლუბი K2 East Promotions ძმები კლიჩკოების ჩამოყალიბებულია).

ორთაბრძოლის დაწყებამდე რინგზე ქართველი მოცეკვავეები ავიდნენ და ხანჯლური შეასრულეს,.

თავიდან ბელგიელი არც-თუ ურიგოდ გამოიყურებოდა. მესამე რაუნდიდან ტორნადო გააქტიურდა - კორპუსსა და თავის არეში დარტყმათა სერიებს უხშირა. ერთ-ერთ ასეთ შეტევას ბაკის ნოკდაუნი მოჰყვა, მაგრამ რაუნდის დასრულებამდე აღარაფერი რჩებოდა და ბელგიელი მარცხს გადაურჩა.

მეოთხე რაუნდში ხურციძემ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და მიხვდა, რომ მეტოქე ღირსეულ წინააღმდეგობას ველარ უწევდა, მოეშვა და თავს რამდენჯერმე გახუმრების უფლებაც მისცა - გულშემატკივრებს ტრიბუნაზე ხელი აუწია, გზააბნეული ბაკი რაუნდის დასრულების შემდეგ საკუთარ კუთხემდე მიაცილა. მეხუთე რაუნდის ბოლოს ხურციძემ ნახევარწუთიანი მწვავე შეტევა განახორციელა, რამაც ბაკის ქანცი გააცალა. შესვენების შემდეგ მან ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა (რეგლამენტით ჩხუბი 12 რაუნდს უნდა გაგრძელებულიყო, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე რომელიმე მოკრივე ნოკაუტში არ აღმოჩნდებოდა).

ქართველ მოკრივეთაგან ინტერკონტინენტალის ქამარს გიორგი კანდელაკი და კობა გოგოლაძე ფლობდნენ.

# ტოჩინოშინი წინ მიიწევს, კოკაი - უკან

ნაგოიაში მიმდინარე ივლისის ბაშოზე ტურნირის პირველი ნახევარი გაილია და ქართველი სუმოისტებიდან მხოლოდ ერთი გვახარებს. გამოცდილი კოკაი საკუთარ შესაძლებლობაზე გაცილებით ნაკლებს აჩვენებს. პირველი სამი მოგებული ბრძოლის შემდეგ ლევან ცაგურია ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა და ასპარეზობის რვა დღის აქტივში მხოლოდ სამი გამარჯვება აქვს.



ტოჩინოშინი დადებით ბალანსს მიუახლოვდა

რაც შეეხება ტოჩინოშინს, მან უკვე ხუთი ბრძოლა მოიგო (მათ შორის, ერთი კოკაისთან) და რეალური შანსი აქვს, ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს.

ბაშოზე გუშინ მნიშვნელოვანი დღე იყო. დამარცხდა იოკოძუნა ასოშორიუ და ახლა ის თავის მთავარ კონკურენტთან - ჰაკუჰოსთან ერთად ოძეკ კოტოშუსაც ჩამორჩება.

დღეს ბაშოზე მეცხრე საასპარეზო დღეა. ტოჩინოშინის მეტოქეა აღმოსავლეთის მეცხრე მაიგაშირა ტაკეკაზე, რომელსაც რვიდან ოთხი ბრძოლა აქვს მოგებული. კოკაი აღმოსავლეთის მეექვსე მაიგაშირა ბუშიამას შეერკინება, რომელსაც რვიდან სამი ბრძოლა აქვს მოგებული.

# ცქიტიშვილი ლასვეგასურ თასზე ერთ-ერთი საუკეთესოა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ფორვარდი, ჯერჯერობით უგუნდოდ დარჩენილი ნიკოლოზ ცქიტიშვილი აშშ-შია და ნიუ იორკ ნიქსის შემადგენლობაში ლასვეგასურ საზაფხულო თასის გათამაშებაში მონაწილეობს.

ნიკამ ნიქსის პირველ ორ მატჩში ძირითად ხუთეულში ითამაშა და თავისი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პირველ ორ შეხვედრაში მან 12-12 ქულა დააგროვა, თუმცა ფარქვეშ დიდად არ ირჯებოდა და მოხსნების რაოდენობა საკმარისი არ ჰქონია.

თასის მესამე მატჩში ნიუ იორკი ჩიკაგო ბულზს შეხვდა და, ისე როგორც წინა ორი შეხვედრა, ესეც წააგო, ამჯერად - 84:90.

ცქიტა ისევ ძირითად შემადგენლობაში იყო და, როგორც თასის მეორე მატჩში, ახლაც ცენტრის პოზიციაზე ითამაშა. ქართველი კალათბურთელი ისევ ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდის შემადგენლობაში. ნიკამ მოედანზე 36 წუთი დაჰყო და 14 ქულა დააგროვა, შვიდჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი, ორი შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ორჯერ ბლოკშოტით გამოიჩინა თავი.

9 ორქულიანიდან 6 ტყორცნა ზუსტად, 8 საჯარიმოდან ოთხი გამოიყენა და ოთხიდან ოთხივე სამქულიანი ააცილა.

საზაფხულო თასზე ქართველი კალათბურთელი კიდევ რამდენიმე მატჩს გამართავს. ამის შემდეგ გაირკვევა, შეძლებს თუ არა ნიკა NBA-ს რომელიმე კლუბთან კონტრაქტის გაფორმებას და ამერიკულ საკალათბურთო ლიგაში დარჩენას. თუ ეს არ მოხერხდა, ის მომავალ სეზონსაც რომელიმე ევროპულ კლუბში გაატარებს.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
აქცია

# სსიპ "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 2009/10 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. საინჟინრო-ტექნოლოგიური . ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ N12, ოთახი N1, ტელ: 7 49 23;
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N32, ოთახი N311, ტელ: 7 15 37;
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.N32, ოთახი N40, ტელ: 7 17 97;
4. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლამცოდნეობის. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.N32, ოთახი N524, ტელ: 7 64 58;
5. სასოფლო-სამეურნეო. Mმწვანე კონცხი, ტელ: 858 63 75 34, ოთახი N301;
6. მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.N32, ოთახი N228, ტელ: 7 63 94;
7. ჯანდაცვის. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.N32, ოთახი N113, ტელ: 7 27 01;
8. განათლების. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.N32, ოთახი N105, ტელ: 7 23 75;

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

**Dდეტალური ინფორმაცია ვაკანსიების და კონკურსთან დაკავშირებით სხვა საკითხებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.**

**I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2009 წლის 10 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით,** ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 1000 საათიდან 1500 საათამდე. **კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 31 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე** საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2009 წლის 8 სექტემბრისა** შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე: www.bsu.edu.ge.

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2009 წლის 15 სექტემბრიდან.**

**II. საკონკურსო პირობები**

2.1.კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

2.2.კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ნოტარიულად დამოწმებული ასლი );

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

2.3.სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ბ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით;

გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

2.4. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) სამოტივაციო წერილი.

**III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა**

3.1.კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

3.2.პირი, რომელიც მუშაობს სხვა დაწესებულებაში (სრული საშტატო ერთეული), მოცემულ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში (გარდა კლინიკური დარგებისა) ვალდებული იქნება არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს ან გადავიდეს ნახევარ საშტატო ერთეულზე 2009 წლის 15 სექტემბრამდე.

**IV. კონკურსის ჩატარების წესი**

4.1. კონკურსი ჩატარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და **შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის** შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და დარგობრივი აკადემიების წევრობა;

ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ვ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო/ სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) წიგნების (კრებულების,/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკო-ლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრეინინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

კ) სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდოები, საპატიო წოდებები;

ლ) პატენტი (საავტორო მოწმობა);

მ)საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

4.3.აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება აგრეთვე პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ - ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია განმეორებით აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **შპს „ V და V კომპანიი"-ს (სნ 206169769)** კუთვნილი,ქ. თბილისში ბ. ხმელნიცკის ქ. 6კ. ბ.76 განთავსებული ქონება, კერძოდ:

| | დასახელება | რაოდენობა | გამოშვების წელი | სახელმწიფო № | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რაფი 2203 | 1 | | ACD 025 | 1000 | 1000 |
| 2 | ლუკ ლუბლინი | 1 | 1998 | AVA 462 | 5000 | 5000 |
| 3 | მერსედეს-ბენც 609 D | 1 | 1990 | ROS 951 | 13000 | 13000 |
| 4 | მერსედეს-ბენც 508 D | 1 | 1991 | IOO 382 | 15000 | 15000 |
| 5 | მერსედეს-ბენც 208 D | 1 | 1992 | DHL 904 | 8000 | 8000 |
| 6 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1994 | ABF 523 | 7000 | 7000 |
| 7 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1989 | LOO 390 | 6000 | 6000 |
| 8 | ფორდ ტრანზიტი | 1 | 1994 | LIL 922 | 5000 | 5000 |
| | სულ | | | | | 60000 |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 4 აგვისტო დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%,** რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 31 ივლისამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებულ 7 (შვიდი) გზაჯვარედინზე არსებული ძველი შუქნიშნების დემონტაჟისა და ახლის დამონტაჟების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებულ 7 (შვიდი) გზაჯვარედინზე არსებული ძველი შუქნიშნების დემონტაჟი და ახლის დამონტაჟება.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 25 ნოემბრამდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 20 ივლისიდან ამავე წლის 10 აგვისტოს 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებულ 7 (შვიდი) გზაჯვარედინზე არსებული ძველი შუქნიშნების დემონტაჟისა და ახლის დამონტაჟების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 აგვისტოს 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი მამულაშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე

**საიდენტიფიკაცო ნომერი: #APL2/NS/012/2009**

პროექტის სახელი/დაფინანსების წყარო:
ადაპტირებადი პროგრამული სესხის მეორე პროგრამა (IDA-ს კრედიტი N4246-GE);

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კუთვნილი ავტომობილების ტექმომსახურებაზე**.

2. ფასთა კოტირების შეფასება განხორციელდება ფასების შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს (I) ტექნიკურად შესაბამის და (II) ყველაზე იაფად შეფასებულ წინადადებას.

3. კონკურსი განხორციელედება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დ. ალმაშენებლის გამზ. N150, IV სართ., ოთახი N405;**
**ტელ: +99532 484510, 484511, 484515 (შიდა ნომერი - 405) ფაქსი: 484555**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ვებ-გვერდი: www.mdf.org.ge**

5. კოტირების მიღების ბოლო ვადა (ზემოთ მითითებულ მისამართზე) არის: **2009 წლის 31 ივლისი, 18:00 საათი.**

## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 7 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ "ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საერთო სარგებლობის ეზოებში დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადებაში მე-8 მუხლის 8.3. პუნქტს დაემატოს შემდეგი სახის "ე" ქვეპუნქტი: ტენდერში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემებში უნდა წარმოადგინონ ცნობა მომსახურე ბანკიდან რომ საბანკო ანგარიშზე აქვთ თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით, ან გახსნილი აქვთ ამავე ოდენობის საკრედიტო ხაზი.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის**
**გამგეობის სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სოფელ თელის და სოფელ ჭიაურის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამართულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. "იმპექსბილდ"-თან.

სატენდერო კომისია

**ტურქულ-ქართულ კომპანია "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ბეტონშემრევის ქირაობასთან დაკავშირებით. გვსურს ვიქირაოთ 2ცალი ბეტონშემრევი, სასურველია პომპით ან ლენტური მიწოდებით, 2000წელს ზემოთ გამოშვებული.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს 877 99 01 49 ან მარინა ჭუნიაშვილი (822) 20 74 74 877 ან (877) 990 128

**მადლობთ**

# განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს ***სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე*** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:

- ლოტი №1 – ზვ. გამსახურდიას გამზ. №45-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის საოფისე ოთახების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

- ლოტი №2 – რუსთაველის ქ. №90-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის ჰოლის და კიბის უჯრედების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

3. შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვე.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით ***2009 წლის 10 აგვისტოს, 10:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.*** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*6.1 იურიდიული პირისათვის:*

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
გ) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

*6.2 ფიზიკური პირისათვის:*

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

*6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:*

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
დ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად).

| *№* | *სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)* | *შემსყიდველის დასახელება* | *ხელშეკრულების ღირებულება* | *შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის* |
|---|---|---|---|---|
| *1* | | | | |
| *2* | | | | |
| *და ა.შ* | | | | |

7. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-6 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.

8. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ***2009 წლის 10 აგვისტოს, 15:00 სთ-ზე.*** სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

10. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, ***შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.*** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ***ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.***

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ***ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.***

*სატენდერო კომისია*

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 14 ივლისის N157 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ, "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"

## განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 14 ივლისის @N157 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ, "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" სატენდერო განცხადების N2 და N10 პუნქტებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

შეცვლილი იქნას სატენდერო დუკუმენტაციის გაცემის, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების მიღების და ტენდერის ჩატარების ვადები.

5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთი დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 აგვისტოს 9 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11- სატენდერო კომისიის აპარატში (1 სართული). სატენდერო წინადადება გაიხსნება 2009 წლის 4 აგვისტოს 14 საათზე. შემდეგ მისამართზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, II სართული, ოთახი 22. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს შეეძლება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 3 აგვისტოს 17 საათამდე. 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (სატენდერო მოსაკ. კოდი 300193174 სახელმწიფო ხაზინის ანგარიში 220101222.ერთიანი საგადასახადო ანგარიში 200122900).

## განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას"-ს მიერ შესყიდვა - დაღმავალი აუქციონის მეთოდით ჩატარების შესახებ,** 2009 წლის 16 ივლისს, გაზეთში "24 საათი" **დიზელის საწვავის** შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული განცხადების, სააუქციონო პირობების მე-10 პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- მისაწოდებელი დიზელის საწვავის რაოდენობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ერთი თვე) სავარაუდოდ შეადგენს 1,350,000 ლიტრს.

*სააუქციონო კომისია*
*2009 წელი*

## განცხადება

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 10 ივლისს გაზეთ 24საათი"-ს N154 გამოცხადებულ ტენდერში შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება ჩამოყალიბდეს შემდეგნირად:

1. **ორმოული შეკეთება - 2561.1 კვ.მ. 4სმ სისქით;**
2. **ასფალტის შემასწორებელი ფენა გადასაკრავი ფართობის ქვეშ - 8189 კვ.მ. საშ. 1.5-2 სმ სისქით;**
3. **ასფალტის ფენის გადაკვრა - 8189 კვ.მ. 3სმ სისქით.**

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 250 7 31 05.

## განცხადება

79-ე საჯარო სკოლა აცხადებს აუქციონს, შენობა-ნაგებობების პირველ სართულზე არსებული 418 კვ. მ ფართის, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით, სასწავლო-სააღმზრდელო დანიშნულებით. პირობების შესახებ დაგვიკავშირდით - ტელ.: 24-71-64; 788 930079.

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

## ტენდერი პროფესიული მომზადების კურსების უზრუნველყოფისათვის

**[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/001]**

UNHCR
The UN Refugee Agency

**PREMIERE URGENCE**

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჟენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ პირებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები შემდეგზე:

- პროფესიული მომზადების კურსების უზრუნველყოფა
- კურსების მსმენელთა ტრანსპორტირება ადგილმდებარეობის მიხედვით

**ლოტი 1: მოსამზადებელი კურსები:**

- 6 მოსამზადებელი კურსი: ავტომანქანის ტარების შესწავლა (კატეგორია B და C), კომპიუტერის პროგრამების შესწავლა ( ძირითადად Microsoft Office- ი) დალაქის სპეციალობა, მასაჟის სპეციალობა, მზარეულის სპეციალობა, ფილების დაწყობის ხელობა
- კურსების დამსწრეების საერთო რაოდენობა : 408 მსმენელი (უმეტესობა იძულებით ადგილნაცვალი პირები)
- კურსების ხანგრძლივობა : 3-დან 5 თვემდე
- შენიშვნა : კურსები ჩატარდება მსმენელთათვის ადვილად მისაწვდომ ტერიტორიაზე (შიდა ქართლი)

**ლოტი 2 : მსმენელთა ტრანსპორტირება**

3-დან 5 თვის განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე 28 ადგილიდან მოსამზადებელი კურსების 408 მსმენელთა ტრანსპორტირება.

დაინტერესებულ - ლიცენზირებულ სასწავლო ინსტიტუტებს და სატრანსპორტო კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო დოკუმენტები 2009 წლის 21 ივლისს, სამშაბათს, 9-დან 6 საათამდე :

-პრემიერ ურჟენსის თბილისის ოფისში : ზანდუკელის ქ. № 5,
ტელ.: (822) 98 24 56. საკონტაქტო პირი - პიერ ვიშიონი
- პრემიერ ურჟენსის გორის ოფისში : ბესარიონ ჯუღაშვილის ქ № 4,
ტელ.: (8270) 7 96 25. საკონტაქტო პირი - გაიოზ ყუბანეიშვილი

## ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ბოლო ვადა 19 აგვისტო, 2009, ეტაპი II

ქვეყანა საქართველო
საც.№ **(BMZ Nr. 2006 65 802)**

ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-ეტაპი II, აჭარის სანაპირო სოფლების საკანალიზაციო სისტემა, საერთო სამუშაოები

პროექტი: ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-ეტაპი II, აჭარის სანაპირო სოფლების საკანალიზაციო სისტემა, საერთო სამუშაოები

შემსყიდველი: ქ.ბათუმის მერია
დაფინანსება: KfWგანვითარების ბანკი(KfW) და ქ.ბათუმის მერია
კონტრაქტის მინიჭება მოხდება KfW მოქმედი დირექტივების შესაბამისად
იხ.( www.kfw.de)

საპროექტო სამუშაოები:

სატენდერო სამუშაოები წარმოადგენს "ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურის II ეტაპის" ნაწილს, რომლის მიზანია საბანაო წყლის ხარისხის გაუმჯობესება და ბათუმისა და თურქეთის საზღვრის,სარფის გასწვრივ ზღვის სანაპირო ზოლში ტურიზმის ინფრასტრუქტურის ინვესტიციებისათვის საფუძვლის შექმნა.

ეს განცხადება მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

სარფში,კვარიათში, გონიოსა და ახალსოფელში მიზიდულობის ზოლის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომლის საერთო სიგრძეა 28.4 კმ, 150 მმ-დან 400 მმ-მდე.

ამ დასახლებებში 641 ინდივიდუალური სახლების მიერთება საკანალიზაციო ქსელთან.

სოფელ სარფსა და ადლიის გამწმენდ ნაგებობას შორის 150 მმ-დან 250 მმ-მდე 12.9 კმ საწნეო საკანალიზაციო მილების დამონტაჟება

4 მთავარი სატუმბო სადგურისა და 2 ქვესატუმბო სადგურის მშენებლობა

ჭოროხის ნაპირზე საწნეო მილგაყვანილობის დამაგრება

კონტრაქტი მოიცავს მხოლოდ საერთო სამუშაოებს, ყველა ტექნიკური და ელექტრო სამუშაოები იქნება გატანილი ცალკე ტენდერზე.

სხვა მოთხოვნები:

გაშვება და საცდელი ექსპლუატაცია;ტექნიკური დოკუმენტაცია; პერსონალის ტრეინინგი. ყველა სამუშაო დამომარაგება უნდა შეესაბამებოდეს ევროსტანდარტებს (EN) და/ან DIN სტანდარტებს.

კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიცირებული პერსონალი, შესაფერისი ტექნიკური საშუალებები და მსგავსი პროექტების შესრულების გამოცდილება, შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია ინგლისურ ენაზე ქვემოთ მოყვანილ მისამართზე. დოკუმენტაცია უფასოა.

დოკუმენტაცია გაიცემა მხოლოდ ელექტრონული ფორმით (ელ-ფოსტით). დაკარგვაზე ან დაგვიანებით მიწოდებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება არ მოხდება.

საკონტაქტო პირი: ქ.ბათუმის მერია
ბ-ნ ზაურ ფარტლაძე
ლუკა ასათიანის №25
საფოსტო კოდი:6010
ქვეყანა: საქართველო
ტელეფონი: + 995 222 7 26 07
ელექტრონული ფოსტის მისამართი: pea@baumi.ge
kaschka@pap.co.at

კონსულტანტი: კონსორციუმი **Posch & Partners - Hydro Ingenieure**
გორგასალის ქ. №28
6010 ბათუმი
საქართველო
ტელ/ფაქსი: + 995 222 7 59 16
ელექტრონული მისამართი: **batumi_office@pap.co.at**
**kaschka@pap.co.at**

## განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ტენდერის ჩატარების შესახებ 2009 წლის 07 ივლისის განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის N1 საჯარო სკოლის მიშენების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 07 ივლისის გაზეთში "24 საათი" (07.07.2009 წ. N151) გამოქვეყნებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1.** განცხადების მე-3 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდი."

სატენდერო კომისია

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ელესის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**